ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N60

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი **9 სექტემბერი 2016 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის რაგბის სასპორტო სკოლის დირექტორი ამირან შავგულიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,არტ ალიანს ირიდა"-ს დირექტორის გივი მესხის სახით შემდეგში ,,მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე

,,შემსყიდველი'' ქალაქ ფოთის რაგბის სასპორტო სკოლა 2016 წლის საკუთარი შემოსავლების სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი'' მიაწოდებს რეკლამის მომსახურეობას (შემდეგში ,,საქონელი').

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ქალაქ ფოთის რაგბის სასპორტო სკოლაში რეკლამის მომსახურეობის შესყიდვა.
2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 79341000 -რეკლამის მომსახურეობა

ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **440-00 (ოთხასორმოცი) ლარს**, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეისყიდოს სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული საქონლის მთლიანი რაოდენობა.
4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი) და ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 შესრულებული მომსახურების მოცულობის მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის (ქალაქ ფოთის რაგბის სასპორტო სკოლა) დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის რაგბის სასპორტო სკოლა.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
10.5 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ოთხი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
11.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ რაგბის სპორტული სკოლის დირექტორი	შპს „ არტ ალიანს ირიდა"–ს დირექტორი
ნინო შაშულიძე	გივი მელაძე
მის: ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ. №-4	მის: ქ. ფოთი წმ. ნინოს №-4
სს „ლიბერთი ბანკი"	სს „პროკრედიტ" ბანკი
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ MIBGGE22
ა/ა GE 07LB0115129864537000	ა/ა GE65PC0403600100001758
ს/კ № 215136779	ს/კ №215147543

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

№	დასახელება	რაოდენობა	კოდი	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი და ვადა
1	წარწერა კედელზე	1 ცალი	79341000	440-00	440-00	ქალაქ ფოთის რაგბის სპორტული სკოლის 2016 წლის სრულანგარიშსწორებამდე
	სულ				440-00	

„შემსყიდველი“

ქ. ფოთის რაგბის სპორტული სკოლის დირექტორი

ალბერტან შავგულიძე

„მიმწოდებელი”

შპს „ არტ ალიანს ირიდა”–ს დირექტორი

გივი მესხი